საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2229-03
16/11/2023

,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის და „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 თებერვლის N150909 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 09 ნოემბრის N1520953 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში, ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხულ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა შორის სტიპენდიანტთა შერჩევა განხორციელდეს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ, გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრების შედეგების მიხედვით.

2. ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა შორის სტიპენდიატთა შერჩევა ხორციელდება ყოველი სემესტრის დასაწყისში, წინა სემესტრის მონაცემების საფუძველზე, შემდეგი პრინციპით:

2.1 სტიპენდია ენიშნება წარმატებულ სტუდენტს, თუ მას წინა სემესტრში სრულად აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამით სემესტრისთვის განსაზღვრული კრედიტები და წინა სემესტრის შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა შეადგენს 91 ქულას და მეტს. ამასთან, საშუალო არითმეტიკულ ქულას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ემატება შესაბამისი ქულები:

ა) წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში (თითო აქტივობა ფასდება 5 ქულით, მაგრამ არაუმეტეს ჯამური 10 ქულისა).

ბ) წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებები

(თითო აქტივობა ფასდება 1 ქულით), იმიტირებული სასამართლო პროცესი (აქტივობა ფასდება 2 ქულით).

გ) განეკუთვნება სოციალურად მოწყვლად ჯგუფს (რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ოჯახის სარეიტინგო ქულით 70000 და ნაკლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სპეციალური საჭიროების მქონე პირი; მაღალმთიანი სტატუსის დასახლებაში მცხოვრები, ობოლი (უდედმამო), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (4 და მეტი შვილი), სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან, (თითოეული ჯგუფის კუთვნილებისას ემატება 1 ქულა).

2.2. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტი 2.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სრულად ვერ აითვისებს უნივერსიტეტისთვის გამოყოფილ სტიპენდიანტთა რაოდენობას, აუთვისებელი სტიპენდიების რაოდენობის ფარგლებში სტიპენდია დაენიშნება სტუდენტს, რომლის წინა სემესტრის შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა ნაკლებია 91 ქულაზე. ამასთან, საშუალო არითმეტიკულ ქულას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ემატება შესაბამისი ქულები:

ა) წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში (თითო აქტივობა ფასდება 5 ქულით, მაგრამ არაუმეტეს ჯამური 10 ქულისა).

ბ) წინა სემესტრში მონაწილეობა აქვს მიღებული სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში (საუნივერსიტეტო ინტელექტუალური, შემოქმედებით-კულტურული ან სპორტული ღონისძიებები (თითო აქტივობა ფასდება 1 ქულით), იმიტირებული სასამართლო პროცესი (ფასდება 2 ქულით).

გ) განეკუთვნება სოციალურად მოწყვლად ჯგუფს (რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, ოჯახის სარეიტინგო ქულით 70000 და ნაკლები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან სპეციალური საჭიროების მქონე პირი; მაღალმთიანი სტატუსის დასახლებაში მცხოვრები, ობოლი (უდედმამო), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (4 და მეტი შვილი), სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან, (თითოეული ჯგუფის კუთვნილებისას ემატება 1 ქულა).

2.3 ამ ბრძანების 2.1 და 2.2 პუნქტებით განსაზღვრული წესით სტიპენდიანტთა შერჩევისას, თუ ბოლო ადგილზე თანაბარი ქულა აქვს რამდენიმე სტუდენტს, უპირატესობა მიენიჭება შემდეგ თანმიმდევრობას:

- წინა სემესტრის შეფასების მაღალ საშუალო არითმეტიკულ ქულას;
- სოციალურად მოწყვლად ჯგუფს;
- სამეცნიერო და სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობას;
- სასწავლო სტუდენტურ აქტივობებში მონაწილეობას.

3. რეიტინგული პრინციპი დგინდება თითოეული ფაკულტეტისთვის/სკოლისთვის და რაოდენობრივად ნაწილდება უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა და ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები (რომლებზეც „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლის თანახმად, გაცემულია პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი ან/და აღნიშნულ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის საფუძველზე მინიჭებული აქვს პირადი ნომერი) აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობისა და ფაკულტეტზე არსებული სტუდენტების პროპორციულად. რეიტინგში არ მონაწილეობენ ამ პუნქტში მითითებული კატეგორიებიდან ის სტუდენტები, რომლებსაც წინა სემესტრში მიღებული აქვთ 30 კრედიტზე ნაკლები და პასიური/სტატუსშეჩერებული სტუდენტები.

4. წარჩინებული სტუდენტების დასაფინანსებლად საფაკულტეტო კვოტები დამტკიცდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი წლის ბრძანების გამოცემის შემდეგ ყოველი წლისთვის, გამოყოფილი თანხის პროპორციულად.

5. თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს იმ სტუდენტების დაფინანსება, რომლებსაც რეიტინგის მიხედვით ექნებათ ერთი და იგივე ქულა და ვერ მოხვდებიან ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის გამოყოფილი ასიგნებებით გათვალისწინებულ სტიპენდიატთა რაოდენობის ფარგლებში.

6. გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხულ სტუდენტთაგან სტიპენდიანტების შერჩევა განხორციელდეს გადმოსვლიდან/აღდგენიდან ერთი სემესტრის შემდეგ, ამ ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმებით, გარდა შიდა მობილობისა.

7. ძალადაკარგულად იქნას ცნობილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 8 ოქტომბრის №3239-03 ბრძანება.

8. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს/სკოლას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, არგუსის ადმინისტრატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი